ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია

„ქართული ოცნება - მრეწველების“ წევრის,

თავმჯდომარის პირველი მოადგილის

გიორგი ტყემალაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2014 წლის ივლისიდან ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-5 მოწვევის წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის, 2016 წლის 2 აგვისტოდან სპორტისა და ახლაგზრდულ საქმეთა კომისიის წევრი, ხოლო 2017 წლის 24 მარტიდან გარემოს დაცვის წევრი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა:

მოგახსენებთ, რომ 2017 წლის საკრებულოს მუშაობის პერიოდში ჩატარებულია ბიუროს 19 სხდომა და ამდენივე საკრებულოს სხდომა. აღნიშნულ

სხდომებზე მიღებულია 68 დადგენილება და 420 განკარგულება. მინდა ხაზი გავუსვა, რომ როგორც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, აქტიური მონაწილეობა მაქვს მიღებული თითოეული სხდომის მომზადებასა და დადგენილებისა თუ განკარგულების მიღებაში.

საკრებულოს სხდომის განსახილველ სხვადასხვა საკითხებზე ვიყავი მომხსენებლის სტატუსით. ჩემი, როგორც საკრებულოს წევრისა და თავმჯდომარის პირველი მოადგილის უშუალო მონაწილეობით შევიმუშავეთ და მივიღეთ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, შევიტანეთ სხვადასხვა სახის ცვლილებები უკვე მიღებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში.

კომისიური მუშაობა:

ა. ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარებული აქვს 17 სხდომა, რომელშიც აქტიურად ვიყავი ჩართული, განვიხილეთ დღის წესრიგით გათვალისწინებული 645 საკითხი, მათ შორის მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების 366 შემთხვევა და განაშენიანების რეგულირების გეგმის 134 პროექტი. კომისიის სხდომებზე, წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, საკრებულოში შემოტანილ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის პროექტებზე მოვამზადეთ შესაბამისი დასკვნები.

აღსანიშნავია, რომ კომისიის სხდომებზე განხილული იქნა ქალაქისათვის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. მათ შორის ხაზი მინდა გავუსვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, „დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M³კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“. მოგახსენებთ, რომ დადგენილებაში შევიტანეთ ბევრი ცვლილება სწორედ მოქალაქეებთან უშუალო მუშაობის შედეგად, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. ცვლილებების განხორციელებამ ხელი შეუწყო მგზავრთა გადაყვანის დროის შემცირებას და გააუმჯობესა მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურეობის ხარისხი.

საკრებულოს აქტიური მხარდაჭერით მოხდა ახალი ევროპული სტანდარტების მქონე MAN-ის მარკის ავტობუსების ჩამოყვანა, ეს არის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი. პროექტის ფარგლებში, თბილისში ჩამოყვანილია 143 ერთეული 12 მეტრის სიგრძის MAN-ის მარკის ბოლო მოდელის ავტობუსი, ეს ავტობუსები არის ძალიან კომფორტული და გარემოს დაცვის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, რომ ის მოიხმარს გაზს და არა ტრადიციულ საწვავს. შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედება არის მინიმალური. მოეწყო 6 ჰა-ზეა განთავსებული ახალი ავტობაზის კომპლექსი. მშენებლობაზე 13 მლნ ლარი დაიხარჯა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ დედაქალაქის მასშტაბით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა, ავარიული შენობების რეაბილიტაცია, გამაგრება-გაძლიერების პროცესი მიმდინარეობს. რაც შეეხება ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, დიდი წარმატებით დასრულდა პროექტ „ახალი ტფილისის“ პირველი ეტაპი - აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაცია.

განახლებული აღმაშენებელის გამზირის რეაბილიტაციის პროექტი, „ევროპა ნოსტრას“ 2017 წლის კონკურსში გამარჯვებულად დასახელდა. ფონდის ინფორმაციით 2016 წელს დავით აღმაშენებლის გამზირზე განხორციელებულმა რეაბილიტაციამ კულტურული მემკვიდრეობის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, ჟიურის განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა. „ევროპა ნოსტრას“ ოფიციალურ ვებ გვერდზე სხვადასხვა ქვეყნების გამარჯვებულ საუკეთესო პროექტებს შორისა ,,ახალი ტფილისიცაა“, რაც ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ქალაქისთვის კიდევ ერთი წინსვლა და საერთაშორისო აღიარებაა.

დიდი სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოები განხორციელდა პეკინის ქუჩაზე. გამოიცვალა მოძველებული წყალგაყვანილობა, გაზსადენები, სატელეფონო და ელექტროკაბელები, წყალარინების სისტემა, გზის სავალი ნაწილის ტროტუარების ასფალტი, ბორდიურები. ასევე, მთლიანი გზის საფარის კაპიტალური განახლების სამუშაოები განხორციელდა დიდი დიღმის დასახლებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი ქ. თბილისის საკრებულოს აქტიური მხარდაჭერით განხორციელდა.

ურბანული კომისიის სხდომაზე მოსმენილი იქნა შუალედური ანგარიში დედაქალაქის ახალი მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის მიერ გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფს დედაქალაქის მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების ჩამოყალიბებას, გრძელვადიანი ქალაქმშენებლობითი

სტრატეგიის განსაზღვრას და ტერიტორიების სამშენებლო განვითარების მართვის ქმედითი ინსტრუმენტის შექმნას. ამ პროექტის განსახორციელებლად 2016-17 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 3 მილიონ 147 ათასი ლარი. გენგეგმაზე საერთაშორისო კონსორციუმი და დარგის 200-მდე სპეციალისტი მუშაობს. გეგმა ისეთ ძირეულ პრინციპებს ითვალისწინებს, როგორიცაა: თბილისი-ჯანმრთელი, მწვანე, ტოლერანტული, საცხოვრებლად მოსახერხებელი, კომპაქტური, რესურსდამზოგავი, ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული უნიკალურობის შენარჩუნებაზე ორიენტირებული - "ჭკვიანი ქალაქი".

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებას დაემატა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების რუკა. აღნიშნული ცვლილებით, დედაქალაქის ტერიტორია იყოფა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გადაწყვეტების შესაბამის ტერიტორიულ-სტრუქტურულ ზონებად. ზოგად ტერიტორიულ-სტრუქტურულ ზონებად დაყოფა აისახება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამის ზოგად უფლებრივი ზონირების რუკაში.

თბილისის ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება არის მიწათსარგებლობის ზონირების ნაწილი, რომელიც ახდენს დედაქალაქის ტერიტორიების იდენტიფიცირებას ტერიტორიულ-სტრუქტურული ნიშნით (ქალაქის ცენტრალური ზონა, შუალედური ზონა, პერიფერიული ზონა, გეგმარებითი კარკასი). ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიზანია მოხდეს ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების პირობების განსაზღვრა, დედაქალაქის ტერიტორიების განსხვავებული ღირებულების და ათვისების ხარისხის განსაზღვრა.

უმოკლეს ვადაში თბილისის ისტორიაში პირველად ქალაქს ექნება სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის სრულყოფილი დოკმენტი, რითაც მოგვეცემა სამშენებლო პროცესების მართვისა და მისი განხორციელების კონტროლის შესაძლებლობა.

კომისიას საქმიანი ურთიერთობები აკავშირებს კომპანია (GVP) „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ"-თან. მოსმენილ იქნა ინფორმაციები დედაქალაქის მოსახლეობის სასმელი წყლით უწყვეტი მომარაგების საკითხებზე. შემუშავებული იქნა წყლის მიწოდება-გატარების პროცესში არსებული შეფერხებების აღმოფხვრის ღონისძიებები.

ურბანული კომისიის მიერ განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი მოქალაქეთა და სხვადასხვა ორგანიზაციების საჩივრებსა და წერილებზე მუშაობას, რაშიც როგორც კომისიის წევრი და საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე აქტიურად ვარ ჩართული და აღნიშნულ განხილვებზე არაერთი პრობლემური საკითხის გადაწყვეტა და მოგვარება მოვახერხეთ.

ბ. სპორტისა და ახლგაზრდულ საქმეთა კომისია

აღსანიშნავია, რომ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ფარგლებში მაღალი აკადემიური მოსწრების ბავშვების დაფინანსების წესში ცვლილება. სახელოვნებო სკოლებში და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში ამ ეტაბზე 660-მოსწავლეა, 33-სახელოვნებო სკოლაში, მათი ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 1 080 000-ლარს. მუნიციპალური პროგრამები მომართულია, რათა ხელი შეუწყოს ნიჭიერი ბავშვების აღმოჩენას, განვითარებასა და სამომავლო კარიერულ ზრდას. ასევე, სკოლის მოსწავლეთა მეცამეტე სასწავლო წლის ვაუჩერის დაფინანსებისა და სტუდენტების (მაგისტრანტი, დოქტორანტი) სტიპენდიების გაცემასთან დაკავშირებით წესში შემავალი ცვლილებების პროექტი, კომისიამ მოიწონა და მხარი დაუჭირა, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

ასევე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზე მოვისმინეთ განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 2017 წლის I კვარტალის შესრულების ანგარიში

გ. გარემოს დაცვის კომისია

ასევე, აქტიურად ვიყავი ჩართული გარემოს დაცვის კომისიის სხდომებში. ურბანულ კომისიასთან ერთად განვიხილეთ მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების 366 შემთხვევა, მოვისმინეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში და ვიმუშავეთ სხვადასხვა დადგენილებებში ცვლილებების პროექტებზე.

- **საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება, მიღება და შემდგომი შესრულების კონტროლი:**

განვიხილეთ, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების კიდევ ერთი პროექტი.

ცვლილების განხორციელების აუცილებლობა განაპირობა, იმ ფაქტობრივმა მდგომარეობამ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილების თანახმად, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) დახმარების განხორციელება ზემოაღნიშნული დადგენილების მიხედვით შეიძლებოდა 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებიდან მხოლოდ 31 მაისის ჩათვლით. იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებულ პირთა დახმარების პროცესი იმ ეტაპისათვის დასრულებული არ იყო, რადგან, რიგ შემთხვევებში დახმარების გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება გულისხმობს მოცულობითი დოკუმენტაციის უფლებამოსილი ორგანოებისთვის წარდგენას, გარემოებათა გამოკვლევას და გადაწყვეტილების მიღებას, რაც დაკავშირებულია ხანგრძლივ დროსთან, შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დაზარალებულთა დახმარების განხორციელების ვადის 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელება.

ასევე, განვიხილეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირების წესით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლითაც დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგია. წინამდებარე სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა კანონის შესაბამისად დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბერი №26-80 დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შექმნისა

და მისი დებულების დამტკიცების შესახებ, რომლის მოთხოვნათა შესაბამისად შექმნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო და განისაზღვრნენ გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეები.

აღნიშნული სტრატეგიის მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას, მათი უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარ და ეფექტიან რეალიზებას.

ასევე მნიშვნელოვანია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტიზე მუშაობა, რომელიც საკრებულოს სხდომაზე მივიღეთ. დაფინანსების გაცემის მიზანია სოციალურად დაუცველი სტუდენტების დახმარება შრომის ბაზარზე წარმატების მიღწევისა და ღირსეული დასაქმებისათვის. დასახული მიზნის მისაღწევად ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის სემესტრული საფასურის დაფარვა 100%, 70% ან 50% პროცენტის ოდენობით, სახელმწიფო სასწავლო გრანტის ან/და სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შემოვიდა ახალი კომპონენტი დოქტორანტების დაფინანსების სახით, რასაც აქამდე ქვეპროგრამა არ ითვალისწინებდა.

ვიმუშავეთ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, ინიცირების წესით წარმოდგენილი “საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული საგზაო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ .

ხაზგასასმელია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc- ფონდს"-ს შორის „100 მედეგი ქალაქის ინიციატივის ფარგლებში, გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების" თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე მუშაობა, რომელიც შემდეგ უკვე მიღებულ იქნა საკრებულოს სხდომაზე.

ა(ა)იპ „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc."-ისგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გრანტის გამოყოფის მიზანია, გრანტის მიმღებ მუნიციპალიტეტს დაეხმაროს სხვადასხვა ტიპის შესაძლო სტიქიური უბედურებების, საფრთხეების, გამოწვევებისა და არაჯანსაღი გარემოს დროს სასიცოცხლოდ აუცილებელი ფუნქციების შენარჩუნებისა და აღდგენის შესაძლებლობების განვითარებაში, ასევე იმაში, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოებმა და მთლიანად სისტემამ შეძლოს ასეთი სტიქიური უბედურებების, საფრთხეებისა და გამოწვევების დროს სასიცოცხლოდ აუცილებელი ფუნქციების შენარჩუნება და სირთულეების დაძლევა.

ძალიან მნიშვნელოვანი და აღსანიშნავი საკითხია კოოპერტიული ბინათმშენებლობი დაუმთავრებლობით დაზარალებულ კოოპერატივების წევრებზე მიწის ნაკვეთების სიმბოლურ ფასად გადაცემა.

ჯამში გადაცემულია 19 802 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 105 ოჯახზე.

არქიტექტურის სამსახურთან ერთად ვიმუშავეთ ძალიან მნიშვნელოვან პროექტებზე, რომელთაგან ბევრი წინა წლებშია დაწყებული, დაემატა ახალი პროექტებიც. არქიტექტურის სამსახურის მიერ წარმოდგენილი იყო მათი ხედვა ქალაქის შემდგომი განვითარების კუთხით და ასევე, თუ რა მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება ამ ეტაპზე.

რაც შეეხება სკოლამდელი აღზრდის მიმართულებას, ამ მხრივაც საკმაოდ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2015 წელს მივიღეთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესი." აღნიშნული წესის მიზანია, მუნიციპალიტეტის მართვაში

არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების მართვის დეცენტრალიზაცია და მომსახურების ეფექტიანობის გაზრდა, ასევე სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვა (5-დან 6 წლამდე აღსაზრდელებზე) ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციის და მიღება-ამორიცხვის პროცესის გაუმჯობესება და სასწავლო–სააღმზრდელო პროცესის განვითარება.

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი მმართველობის პირობებში, 2014-2017 წლებში თბილისში აშენდა და გაიხსნა 12 ახალი საბავშვო ბაღი.

აქტიურად ვიყავი ჩართული დედაქალაქის 2017 წლის ბიუჯეტის განხილვის პროცესში, ბიუჯეტის მომზადებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამუშაო პროცესებში და მიღების შემდგომ მისი შესრულების კონტროლში. საკრებულოს წევრებმა, ასევე, მოვისმინეთ მერიის სხვადასხვა საქალაქო სამსახურის უფროსების და რაიონების გამგებლების ანგარიში მათ მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ. ყველა აღნიშნულ პროცესში აქტიური მონაწილეობა მაქვს მიღებული.

ჯანდაცვის კუთხით განხორციელდა ბევრი პროექტი, რომელიც 2015 წლის ბიუჯეტში ჩადებული იყო სხვადასხვა პროგრამების სახით, 2016-2017 წლებში გაგრძელდა და დაემატა ახალი პროექტებიც. მინდა ვრცლად ვისაუბრო ამ პროექტებთან დაკავშირებით:

1. პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (04/8353, 21 ივლისი 2017 წელი).

წარმოდგენილი პროექტით გაიზარდა შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება:

- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი 06 01 06) დაფინანსება გაიზარდა 300 000 ლარით, რაც გამოწვეულია ქვეპროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობის ზრდით.

- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამას (პროგრამული კოდი 06 01 07) დაემატა 500 000 ლარი, რაც ასევე გამოწვეულია ქვეპროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობის ზრდით.

- C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი 06 01 12) დაფინანსება გაიზარდა 1 000 000 ლარით, რაც განპირობებულია იმ პაციენტთა

დიაგნოსტიკის ხარჯების ანაზღაურებით, რომელიც დაიწყო 2016 წელს და დასრულდა 2017 წელს.

- ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი 06 01 13) დაფინანსება გაიზარდა 400 000 ლარით.
- სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ქვეპროგამას (პროგრამული კოდი 06 02 09) დაემატა 4 000 000 ლარი.
- ქვეპროგრამას, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში (პროგრამული კოდი 06 02 16 15) დაემატა 40 000 ლარი.
- მოქალაქეთა მოთხოვნების რაოდენობიდან გამომდინარე გაიზარდა ქვეპროგრამის, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში (პროგრამული კოდის 06 02 18), დაფინანსება 550 000 ლარით.

<u>გაუმჯობესდა სასწრაფო სამედიცინო დახმარებაის ქვეპროგრამა</u> (კოდი: 06 01 01) - ბიუჯეტი შეადგენს: 29 490 000 ლარს. (2013 წლის მაჩვენებელი 25 000 000 ლარი)

პროგრამის მიზანია სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ეფექტური ფუნქციონირება 24 საათი, კვირაში 7 დღის რეჟიმში პაციენტებისთვის დროული, ადეკვატური და მაღალკვალიფიციური სასწრაფო სამედიცინო მომსახურების მიწოდება.

2014-2017 წლებში განხორციელდა დამატებით 1 (ერთი) ფილიალის (თბილისის ზღვა) და 2 (ორი) ქვეფილიალის გახსნა (ფონიჭალა, დაბა კოჯორი), შეძენილ იქნა 13 ერთეული სპეციალური ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც დაკომპლექტებული და აღჭურვილია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ასევე სხვადასხვა ტრენინგ პროგრამებით გადამზადდა ცენტრის 358 თანამშრომელი. გაიზარდა ცენტრის უფროსი მედდების (750 ლარი-850 ლარი) და მედდების (625 ლარი-750 ლარი) შრომის ანაზღაურება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით არის 14 ფილიალი და 3 ქვეფილიალი (წყნეთი, ფონიჭალა კოჯორი).

სსიპ- 112- თან კოორდინაციით, სადისპეჩეროსა და სამედიცინო ბრიგადებს შორის კავშირის გაუმჯობებისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შემუშავდა პროგრამული უზრუნველყოფა, და მოძიებულ იქნა შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც დაინერგა 2016 წლის პირველ ნახევარში.

ქვეპროგრამა მოიცავს მოსახლეობისათვის კრიტიკულ მდგომარეობაში სასწრაფო სამედიცინო და გადაუდებელი დახმარების ხელმისაწვდომი, დროული და ეფექტური მომსახურების უზრუნველყოფა და კონკრეტულ შემთხვევებში სტაციონარში გადაყვანა.

წლის განმავლობაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები ახორციელებენ საშუალოდ 700 000 გამოძახებას.

<u>ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამები რომლებიც განხორციელდა 2014-2017წწ.</u>

1. **„ტრანსპლანტაციის ქვეპტოგრამა“ (კოდი: 06 01 13) - ბიუჯეტი შეადგენს: 3 500 000 ლარს.**

ქვეპროგრამა გულისხმობს ონკოჰემატოლოგიური დიაგნოზის მქონე პირებისათვის მაღალდოზირებული ქიმიოთერაპიის, ტრანსპლანტაციის წინა კვლევების, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციისა და ტრანსპლანტაციის შემდგომ სტაციონარული მეთვალყურეობის დაფინანსებას რომელთაც დასმული აქვთ შემდეგი დიაგნოზი (ები):

ა) მწვავე ლეიკემია;
ბ) მწვავე ლიმფოიდური ლეიკემია;
გ) მწვავე მიელოიდური ლეიკემია;
დ) ქრონიკული მიელოიდური ლეიკემია;
ე) იუვენური მიელომონოციტარული ლეიკემია;
ვ) არა-ჰოჯკინის ლიმფომა;
ზ) ჰოჯკინის ლიმფომა;
თ) მიელოდისპლაზიური სინდრომი;
ი) აპლასტიური ანემია;
კ) ჰისტიოციტოზი;
ლ) თალასემია.
მ) მრავლობითი მიელომა (მიელომური ავადმყოფობა).

ქვეპროგრამა ამოქმედდა 2015 წლიდან.
2015-2017 წლებში პროგრამით ისარგებლა 97 ბენეფიციარმა.

2. **„C“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკა (კოდი: 06 01 12) - ბიუჯეტი შეადგენს: 2 000 000 ლარს.**

ქვეპროგრამის განხორციელება დაიწყო 2015 წელს ბენეფიციარებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000.

2014-2017 წლებში ქვეპროგრამით ისარგებლა 50 000 ბენეფიციარმა.

3. **აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (კოდი: 06 01 06) - ბიუჯეტი შეადგენს: 2 300 000 ლარს.**

ქვეპროგრამა ხორციელდება 2015 წლიდან და გულისხმობს აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა მოტორული, შემეცნებითი, სოციალური განვითარების, თვითმოვლის და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, რისთვისაც ხორციელდება მულტიდისციპლინური გუნდის, ერთიანი საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად (მ.შ.გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა), კომპლექსური თერაპიის დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მულტიდისციპლინური გუნდის, ერთიანი საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიის თვეში არაუმეტეს 20 (მინიმუმ ერთსაათიანი) სეანსი. ქვეპროგრამის მიზანია აუტისტური სპექტრის აშლილობების (ასა) მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება, ადაპტაციური ფუნქციონირების გაუმჯობესება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა სპეციფიკური აბილიტაციისა და ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის გზით.

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0; F84.9) ჯგუფის დიაგნოზის მქონე 2-დან 15 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები.

2017 წელს ქვეპროგრამით ისარგებლა 700 ბენეფიციარმა.

4. **ადრეული ძუძუს კიბოს მკურნალობის დაფინანსება (კოდი: 06 01 07) - ბიუჯეტი შეადგენს: 2 800 000 ლარს.**

ქვეპროგრამა ხორციელდება 2016 წლიდან და გულისხმობს სპეციალისტთა ჯგუფის მიერ აღიარებული დანიშნულების (დამიზნებითი თერაპიის) შესაბამისად ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებას. ამასთან, მედიკამენტები (ტრასტუზუმაბის, პერტუზუმაბი) Her2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ან Her2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის მქონე პირებს უფინანსდებათ.

ქვეპროგრამის მიზანია, ძუძუს კიბოს მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ზემოაღნიშნული მედიკამენტებით სრულფასოვანი მკურნალობის ჩატარების უზრუნველყოფის გზით, ძუძუს კიბოს დიაგნოზის მქონე პირთა სიცოცხლის გახანგრძლივება/განკურნება.

„ა) HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივისშემთხვევაში - ტრასტუზუმაბი;

ბ) კონსილიუმის დასკვნის (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ, 3 ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში - ტრასტუზუმაბი ან პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი;

გ) კონსილიუმის დასკვნის (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ, 3 ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში ლაპატინიბი.";

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს, ქვეპროგრამით დადგენილი მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის გათვალისწინებით– 80%-ის მოცულობით, ასეთ შემთხვევაში, პაციენტის თანაგადახდა შეადგენს ქვეპროგრამით დადგენილი მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 20%-ს.

2016-2017 წლებში ქვეპროგრქმით ისარგებლა 460 ბენეფიციარმა.

5. **დაავადებათა სკრინინგი (კოდი: 06 01 02) - ბიუჯეტი შეადგენს:1 087 200 ლარს.**

ქვეპროგრამა გულისხმობს ქ.თბილისში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის სკრინინგული გამოკვლევების დაფინანსებას. კიბოს სკრინინგის კუთხით პროგრა მამოიცავს ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატისა და კოლორექტული კიბოს სკრინინგს.

2014-2017 წლებში სკრინინგის პროგრამით ისარგებლა 157 823 ბენეფიციარმა.

ორთოპედიულ დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელება დაიწყო 2016 წელს, 2017 წელს ქვეპროგრამა გადავიდა „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამაში.

6. **ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (კოდი: 06 01 08) - ბიუჯეტი შეადგენს: 180 000 ლარს.**

საერთაშორისო კვლევებითაა დამტკიცებული თემზე დაფუძნებული ფსიქიატრიული სერვისების ეფექტურობა. ქვეპროგრამის განხორციელება დაიწყო 2016 წელს და გულისხმობს ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთათვის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სათემო მომსახურების მიწოდების დაფინანსებას. 2016-2017 წლებში ქვეპროგრამით ისარგებლა 380 ბენეფიციარმა.

7. **გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამა (კოდი: 06 01 03)**

ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას განეკუთვნება:
ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობის განხორციელება;
ბ) დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;
გ) მოსახლეობის იმუნოპროფილაქტიკური ღონისძიებების ხელშეწყობა და მონიტორინგი;
დ) ცხოველთა მიერ დაზარალებული მოსახლეობის ეპიდზედამხედველობა, ანტირაბიული სამედიცინო დახმარების მიწოდების ხელშეწყობა;
ე) სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლისათვის ნოზოკომიური ინფექციების პრევენციის და კონტროლისათვის რეკომენდაციების მიწოდება;
ვ) გადამდებ დაავადებათა პრევენცია;
ზ) დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
თ) ეპიდემიოლოგიური მონაცემების რეგულარული შეფასება, მონაცემთა ანალიზი;
ი) ცხოვრების ჯანსაღი წესის და უნარ-ჩვევების დამკვიდრების, მავნე ჩვევათა კორექციის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო საშუალებებით და სპეციფიკური ღონისძიებებით საინფორმაციო კამპანიების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებებში ორგანიზება და წარმართვა;

კ)2017 წელს წესში მოხდა დამატება რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის ზედამხედველობას;

<u>სოციალური დაცვა (კოდი: 06 02) - ბიუჯეტი შეადგენს:144 720 900 ლარს.</u>

2014-2017 წლების ახალი ქვეპროგრამები:

1. **სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი: 06 02 22) - ბიუჯეტი შეადგენს:750 400 ლარს.**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 150000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებულ ოჯახებში, 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მატერიალური დახმარება. დახმარების ოდენობა შეადგენს 800 ლარს წელიწადში და გაიცემა ორჯერადად 400–400 ლარის ოდენობით (მაისი-დეკემბერი).

2. **„ვოლდ ვიჟენ საქართველოს" სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება.**
3. **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით შშმ პირთა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების პროექტების დაფინანსებას.

- სხვადასხვა საჭიროებებისა და აქტივობების ხელშეწყობის უზრუნველყოფა;
- კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
- განათლებისა და შემეცნებითი აქტივობების ხელშეწყობა;
- სხვა საჭიროებებით უზრუნველყოფა;

- **ქვეპროგრამის ბენეფიციარები** არიან შშმ პირები და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციები.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შშმ პირთა სხვადასხვა საჭიროებებისა და აქტივობების ხელშეწყობა და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების დაფინანსება. საქართველოს ყრუთა კავშირის, შშმ პირთა დღის ცენტრების დაფინანსება, საქართველოს უსინათლოთა კავშირისთვის გამცილებლის მომსახურებისათვის ხელფასის გაცემა.

4. **სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი: 06 02 25) - ბიუჯეტი შეადგენს: 540 000 ლარს.**

ქვეპროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100000 და დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტირებული ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ასევე აღნიშნული კატეგორიის ოჯახებში შობადების სტიმულირებისთვის მოხდება ყველა ახალშობილზე ერთჯერადი 500 ლარიანი

დახმარების ჩარიცხვა. დახმარების გაცემის წესი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით.

5. **გაორმაგდა "სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების ქვეპროგრამა: (კოდი: 06 02 02) - ბიუჯეტი შეადგენს: 7 200 000 ლარს.**

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზა"-ში 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტირებული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (3 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი), 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე განხორციელდება ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა 50 ლარის ოდენობით. დახმარების გაცემის წესი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით. ფინანსური დახმარების ოდენობა **2015 წლიდან გაორმაგდა და შეადგენს 800 ლარს** წელიწადში. გაიცემა ორჯერადად 400–400 ლარის ოდენობით (მაისი-დეკემბერი).

2013-ს მაჩვენებელი 25 ლარი.

6. **სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება (კოდი: 06 02 03) ბიუჯეტი შეადგენს: 400 000 ლარს.**

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" 100 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტირებული მრავალშვილიან ოჯახებს გაეწევათ მატერიალური დახმარების ყოველ მე-3, მე-4, მე-5 და შემდეგ ახალშობილზე. განხორციელდება ერთჯერადი მატერიალური დახმარების დარიცხვა მე-3 ახალშობილზე - 800 ლარის ოდენობით, მე-4 ახალშობილზე - 1000 ლარის ოდენობით, მე-5 და ყოველ შემდეგ ახალშობილზე 1500 ლარის ოდენობით. დახმარების გაცემის წესი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით.

2013 წლის მონაცემებით: მე-3 ახალშობილი 600 ლარი, მე-4 ახალშობილზე 800, მე-5 და მეტ ახალშობილზე 1000 ლარი.

ხორციელდება ასევე შემდეგი ქვეპროგრამები:

7. **კომუნალური სუბსიდირება (კოდი: 06 02 01) - ბიუჯეტი შეადგენს:11 500 000 ლარს.**

ქალაქ თბილისში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახები მიიღებენ კომუნალურ სუბსიდიას. სუბსიდიის ოდენობა და დარიცხვის წესი განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს სუბსიდიის ჯამური ოდენობა განსაზღვრულია თვეში არაუმეტეს 106 ლარით, ხოლო სოციალურად დაუცველი იმ ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა მეტია 70 000-ზე და არ აღემატება 200 000-ს სუბსიდიის ჯამური ოდენობა განსაზღვრულია თვეში არაუმეტეს 20 ლარით, სუბსიდიის გაცემის თვის წინა თვეში დარიცხული გადასახადების მიხედვით, შემდეგი გამოთვლის მეთოდითა და პრიორიტეტებით:

ა) დასუფთავების მოსაკრებელზე:

ა.ა) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ერთი პირი 2,5 ლარის ოდენობით;

ა.ბ) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ორი პირი 5 ლარის ოდენობით;

ა.გ) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია სამი პირი 7,5 ლარის ოდენობით;

ა.დ) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ოთხი და მეტი პირი 10 ლარის ოდენობით;

ბ) წყლის გადასახადზე 3,15 ლარის ოდენობით;

გ) ელექტროენერგიაზე, აბონენტზე თვეში დარიცხული ელექტროენერგიის გადასახადის მიხედვით.

8. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია და თბილისში რეგისტრირებული ბავშვებისათვის საზაფხულო კულტურულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობა (კოდი: 06 02 04; 06 02 04 01; 06 02 04 02) - ბიუჯეტი შეადგენს: 1 592 200 ლარს.**

9. **სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სერვისების მიწოდების დაფინანსება (კოდი: 06 02 06; 06 02 06 01; 06 02 06 02; 06 02 06 03; 06 02 06 04) - ბიუჯეტი შეადგენს: 2 458 500 ლარს.**

10. **სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი: 06 02 09) - ბიუჯეტი შეადგენს: 11 500 000 ლარს.**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეების სტაციონარული, ამბულატორიული სამედიცინო მომსახურებისა და სხვა სოციალური სერვისების საჭიროების შემთხვევაში ფინანსური მხარდაჭერა.

1. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს;
2. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 70 000-100 000-ს;
3. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მრავალშვილიანი (3 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები, რომელთა სარეიტინგო ქულაა 100 000 -დან 200 001-ს;
4. მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი პირები და მათი ოჯახის წევრები;
5. ვეტერანი, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში;
6. მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე პირი;
7. დამსახურებული საზოგადო მოღვაწე, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების ან ქალაქ თბილისზე მზრუნველის სტატუსის მატარებელი პირი;
8. სხვა პირები, რომლებიც საკუთარი განცხადების საფუძველზე, მატერიალური მდგომარეობის გამო საჭიროებენ დახმარებას

11. **სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში (კოდი: 06 02 18 ; 06 02 18 07; 06 02 18 08; 06 02 18 09; 06 02 18 10; 06 02 18 11; 06 02 18 12; 06 02 18 13; 06 02 18 14; 06 02 18 15; 06 02 18 16) - ბიუჯეტი შეადგენს: 18 857 800 ლარს.**

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის რაიონში რეგისტრირებულ უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად დახმარების გაწევის, უმწეო და მძიმე საარსებო პირობებში მყოფ მოქალაქეთა საარსებო პირობების გაუმჯობესების, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების დახმარების, ასევე სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით მოქალაქეებისათვის დახმარების გაცემა. დახმარება შეიძლება განხორციელდეს ფულადი დახმარება/შემწეობის ან პირისათვის დახმარების გაწევის მიზნით შეძენილი პროდუქტის/ნივთის გადაცემის გზით, მოქალაქეთა შემოსული განცხადებების საფუძველზე, შესაძლებლობების ფარგლებში დაფინანსებით.ასევე, გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველ და/ან უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის დაფინანსება და სხვა ღონისძიებები.

12. **თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი: 06 02 21) - ბიუჯეტი შეადგენს:1 466 500 ლარს.**

თვის საჭირო თანხის მოპოვება. ქვეპროგრამის მიზანია, აღნიშნული მოქალაქეების თავშესაფრით უზრუნველყოფა, მათი საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება, პირველადი სამედიცინო მომსახურებითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფა.გარდა ამისა გათვალისწინებულია პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირთათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა და სხვა ღონისძიებები.

13. **შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი: 06 02 26) - ბიუჯეტი შეადგენს: 414 000 ლარს.**

უძლური ხანდაზმულების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ტერმინალურ მდგომარეობასა და ხანგრძლივად ან დროებით უძლურებაში მყოფი პირების ჯანმრთელობაზე ზრუნვა (პრევენცია, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, მონიტორინგი), მათი დამოუკიდებლობის და დაკარგული უნარ–ჩვევების შენარჩუნება/აღდგენა, რესურსებისა და უნარების გამოვლენა და ფსიქო–სოციალური დახმარება, მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს წარმოადგენენ.

ქვეპროგრამა გულისხმობს საჭიროების მქონე პირთა გამოვლენას ბართელის ინდექსის შესაბამისად, ასევე ბენეფიციართა პერსონალურ მოვლას, საექიმო და საექთნო მომსახურებას, დახმარებას ყოველდღიურ საქმიანობაში

თბილისში, ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული 200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრი, რომელსაც მინიჭებული აქვს ბართელის უძლურების ინდექსი არაუმეტეს 95-სა.

2017 წლის იანვრიდან ნოემბრის თვის ჩათვლით ჩატარდა **სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის** 10 სხდომა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიის ინიციატივის საფუძველზე საკრებულოს მიერ გამოიცა 126 სამართლებრივი აქტი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ მომზადდა 7 სამართლებრივი დასკვნის და 129 განკარგულების პროექტი. დასკვნებში შემავალი 129 განკარგულების პროექტი ინდივიდუალურ რეჟიმში საჯარო განხილვის მიზნით გამოქვეყნდა საკრებულოს ვებ გვერდზე და აიტვირთა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში. საერთო ჯამში ხსენებული 129 პროექტიდან საკრებულოს სხდომაზე მიღებული იქნა 126 სამართლებრივი აქტი.

როგორც ცნობილია, **აბრების დიზაინის** კონკურსის წესით გამოვლენის პარალელურად გადაწყდა, რომ ქუჩის დასაწყისში პირველი საკადასტრო ერთეულის ფასადზე ნომრის და ქუჩის სახელის აღმნიშვნელ აბრასთან ერთად დამონტაჟებული იქნება აბრა, რომელზეც მოკლედ იქნება დატანილი ინფორმაცია იმ პირის/ტოპონიმის შესახებ ვის/რის სახელსაც ქუჩა ატარებს, კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში დამუშავდა და კეთილმოწყობის სამსახურს გადაეგზავნა ინფორმაცია 150 ზე მეტი ქუჩის სახელწოდების შესახებ.

აბრების განთავსების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით სისტემურად ხორციელდება სამუშაოების დასრულების შემდეგ ქუჩების ადგილზე დათვალიერება და ხარვეზების დაფიქსირება შემდგომში შესაბამისი სამსახურისთვის მიწოდების მიზნით. კომისიის წარმომადგენლების მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა 200-მდე ქუჩის ფიზიკურად დათვალიერება.

ვფიქრობ, მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია სავაჭრო ცენტრ „ბავშვთა სამყარო“-ში მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებულ პირებთან მოლაპარაკებები, მუშაობა მათთან ერთად კომპენსაციის საკითხებთან დაკავშირებით, რაშიც საკრებულოს სხვა წევრებთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად ვიყავი ჩართული.

2017 წლის 30 იანვარს სავაჭრო ცენტრ „ბავშვთა სამყარო“- ში მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებულებმა ერთჯერადი დახმარების სახით მიიღეს 3000

ლარი, თბილისის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან. დახმარება ჯამში 345 დაზარალებულს გაეწია. აღნიშნულთან დაკავშირებით, დედაქალაქის ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილება 11 აპრილს საკრებულოს სხდომაზე შევიდა. ასევე ხანძრის შედეგად, თბილისის მერიის ინიციატივითა და შუამდგომლობით კომერციულმა ბანკებმა დაზარალებულების საბანკო ვალდებულებების გადავადების გადაწყვეტილება მიიღეს და მათთვის სესხის გადახდის 6 თვით გადავადების პროცესი დაიწყეს, ასევე ბანკებმა დაზარალებული მსესხებლებისთვის შეღავათიანი რეჟიმის ინდივიდუალურ პირობებში გაგრძელების მზადყოფნა გამოთქვეს.

საშეღავათო პირობების განსაზღვრისთვის ბანკებს 200-მდე დაზარალებულმა მიმართა. ბანკებმა ყველა მათგანის სასესხო ვალდებულებების რესტრუქტურიზაცია განახორციელეს (7 მილიონი ლარი რესტრუქტურიზებული თანხა ჯამში).

თბილისის მოსახლეობასთან ურთიერთობა:

როგორც წინა წლების ანგარიშებშიც ავღნიშნე, როგორც საკრებულოს წევრი და თავმჯდომარის პირველი მოადგილე ყურადღებას ვუთმობ მოქალაქეთა მიღებას და პრობლემატიკის შესწავლის საკითხს. კვირაში ერთხელ მაქვს მოქალაქეთა მიღების დღე. შესაბამისად 2017 წლის იანვრიდან დღემდე მიღებული მყავს 500-მდე მოქალაქე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სხვა დღეებშიც მოქალაქეთა მოთხოვნის შესაბამისად ხშირად ვხვდები მათ, როგორც საკრებულოში ასევე ადგილებზე ან სხვადასხვა მაჟორიტარების ბიუროებში. შეხვედრებისას წარმოჩენილი პრობლემატიკა სხვადასხვა სახისაა: სოციალური, ჯანდაცვის, ურბანული და ინფრასტრუქტურული, სამართლებრივი, კულტურულ-საგანმანათლებლო. ყოველ კონკრეტულ საკითხს განვიხილავთ დამოუკიდებლად და საერთო ჭრილში. საკრებულოს წევრის კომპეტენციის ფარგლებში, ყველა მოქალაქეს გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაცია, დახმარება ან/და შუამდგომლობა.

ასევე, შემოდის სხვადასხვა ხასიათის წერილები, რომლებზეც ხდება შესაბამისი და დროული რეაგირება. მოქალაქეებთან აქტიური შეხვედრები მაძლევს საშუალებას ვიცოდე რეალური პრობლემები, ხელი შევუწყო საკითხებზე დროულ რეაგირებას და ქმედითად ვიმუშავო მთელ გუნდთან ერთად ქალაქისათვის საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრაზე.

როგორც უკვე იცით, გასული პერიოდის განმავლობაში მოსახლეობასთან დამატებითი კომუნიკაციის სახით წარმატებით დავნერგეთ სხვადასხვა რაიონის

მაჟორიტარებთან გასვლითი ღონისძიებები რაიონის ბიუროებში. სწორედ ეს მაძლევს საშუალებას ჩაბმული ვიყო ქალაქის ყველა რაიონის მიმდინარე პრობლემების შესწავლისა და გადაწყვეტის საკითხებში. მინდა აღვნიშნო, რომ ასევე ხშირია მოქალაქეებთან საცხოვრებელ ადგილებზე და სხვადასხვა სახის თემატურ შეხვედრებზე გასვლის პრაქტიკა. მსგავსი ერთობლივი შეხვედრებისას, როგორც თბილისის საკრებულოს წევრი და თავმჯდომარის პირველი მოადგილე პირადად შევხვდი დაახლოებით 2500-მდე მოქალაქეს, ადგილებზე შევისწავლე და ვნახე ბევრი პრობლემა და შემდეგ უშუალოდ ვიყავი ჩართული კონკრეტული საკითხების მოგვარებაში.

კიდევ ერთხელ ავღნიშნავ, რომ ამ მხრივ, ხაზგასასმელია ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ მუშაობის სპეციფიკა, რაც ვფიქრობ კიდევ მეტ საშუალებას გვაძლევს უშუალოდ ვიყოთ მუდმივად ჩართული ქალაქის ეკონომიკური განვითარებისა და დასაქმების პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებაში. ფრაქციის სხდომების, თუ სხვა მუშაობის პროცესში ასევე აქტიურად ვართ ჩართული თბილისის საზოგადოებასთან ურთიერთობების პროცესში. ვთანამშრომლობთ სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რათა პრაქტიკულად შევძლოთ სიკეთე მოვუტანოთ თბილისს და თბილისელებს.

- ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის მუშაობა

მე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოზიციიდან აქტიურად ვარ ჩართული თბილისის საკრებულოს აპარატის ყოველდღიურ საქმიანობაშიც. მოგეხსენებათ, სწორედ საკრებულოს აპარატი ამზადებს თბილისის საკრებულოს სხდომებსა და სხვა ტექნიკურ საკითხებს. უშუალოდ საკრებულოს აპარატში მუშაობს 300-მდე თანამშრომელი. შესაბამისად, აპარატის გამართული მუშაობა ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს მთელი საკრებულოს სამუშაოს ეფექტურობას. მინდა აღვნიშნო, რომ მაქვს ყოველდღიური კომუნიკაცია აპარტის თანამშრომლებთან.

ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგად, 2017 წელს აპარატის თანამშრომელთა გუნდურობის, მუშაობის ეფექტურობისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მოეწყო გასვლითი ტრეინინგები თბილისის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებისთვის

ადგილობრივი თვითმმართველობისა და საკრებულოს მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე.

საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და სხვა სახის აქტივობები:

როგორც ჩემი წინა ანგარიშებიდან მოგეხსენებათ, 2014 წლიდან ვარ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის (nala) ვიცე-პრეზიდენტი. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია წარმოადგენს არასამთავრობო არასამეწარმო და არაპოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს საქართველოს ყველა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულს. ასოციაცია თანამშრომლობს მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ გაერთიანებასთან. ადგილობრივ თვითმმართველობათა ევროპული ასოციაცია არის საქართველოს მთავრობის პარტნიორი ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის თვითმმართველობაში.

იმავდროულად, ვარ ევროსაბჭოს „ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესის" წევრი (The Congresse of local and regional authoritie). აღნიშნული კონგრესის მიწვევით ვიმყოფებოდი სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხებისა და თემების განხილვაზე:

<u>2017 წელი :</u>

8-10 მარტი - იტალიის ქალაქი ვენეცია, სადაც გაიმართა ევროპის საბჭოს რეგიონალური და ადგილობრივი კონგრესის, მიმდინარე საკითხთა კომიტეტის სხდომა. აღნიშნულ სესიაზე მიწვეული ვიყავი კონგრესის წევრის სტატუსით და შევდიოდი მუდმივმოქმედი ქართული დელეგაციის შემადგენლობაში.

აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში წევრები გავეცანით კონგრესის და ევროპული საბჭოს, ასევე ქალაქებისა და რეგიონების ევროპული ალიანსის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებათა მიმდინარეობას, მათ პროგრესს და მიღწევებს.

წევრებმა მოვისმინეთ დაკორექტირებული ქარტიის პროექტები: ,,ევროპული, პოლიტიკური პარტიები არა რასისტული საზოგადოებისათვის" და ,,ევროპული საბჭოს წევრი ქვეყნების არჩეული ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების წევრები - ანტი გიფსიზმის წინააღმდეგ".

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, გაიმართა დებატები სარეზოლუციო პროექტის გარშემო „მიღებიდან ინტეგრაციამდე : ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების როლი მიგრაციის პირისპირ". დებატები შედგება თემებზე : „მუდამ ახალგაზრა? ახალგაზრდული პოლიტიკის და სამუშაოების როლი ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე, ახალგაზრდების მხარდაჭერა გარდამავალ პროცესში დამოუკიდებლობისკენ და სამუშაო ცხოვრებისკენ" და „რეგიონალური და ენობრივი უმცირესობები ევროპაში". წევრები გაეცნენ მეორე სამიტის შედეგებს „ევროპული ქალაქების ალიანსი ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ", რის შემდეგაც მიიღეს მესამე სამიტთან დაკავშირებით არსებული ინფორმაცია.

წევრებმა სამუშაო შეხვედრის ფარგლებში შეათანხმეს 31-ე პლენარული სესიის დღის წესრიგი და განიხილეს სამომავლო პროექტები.

27-30 მარტი - სამსახურებრივი მივლინებით ვიმყოფებოდი საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში, სადაც გაიმართა ევროპის საბჭოს რეგიონალური და ადგილობრივი კონგრესის 32-ე პლენარული სესია. აღნიშნულ სესიას ვესწრებოდი მუდმივმოქმედი დელეგაციის ძირითადი წევრის სტატუსით.

2017 წლის 32-ე პლენარული სესიის ცენტრალური თემა იყო - დეცენტრალიზებული პოლიტიკა ლტოლვილთა წარმატებული ინტეგრაციისთვის. სესიის ფარგლებში გაიმართა დებატები და კენჭისყრა თემებზე: „მიღებიდან ინტეგრაციამდე: ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების როლი მიგრაციის პირისპირ", „სამუდამოდ ახალგაზრდა? ადგილობრივი და რეგიონალურ დონეებზე ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული სამუშაოების როლი ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისთვის", ბრძოლა ანტი-ბოშათა პროპაგანდის წინააღმდეგ" და „არჩეულ პირთა სიტუაცია თურქეთში-ფაქტების მაძიებელი მისია". განმეორებით შეფასდა: „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის შესრულება- მიღწევები და გამოწვევები" - ქარტიის შედარებით ანალიზზე გაიმართება დებატები და კენჭისყრა. გაიმართება დებატები თემაზე: „ადამიანის უფლებების განვითარება ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე" ასევე „საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის შესაბამისობის ჩამონათვალი, რათა არ მოხდეს ადგილობრივი და რეგიონული არჩევნების დროს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება".

გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის, რეგიონალური პალატის და კონგრესის ბიურს შეხვედრები. პლენარულ სესიაზე დამტკიცდა ახალი წევრები, ასევე კონგრესის კომიტეტების შემადგენლობა და განხილულ იქნა მომდევნო ორი წლის საბიუჯეტო რესურსები. კონგრესის ბიურომ განიხილა“ „გამჭირვალე მონაცემები=გაუმჯობესებულ საჯარო მომსახურებას“, „ არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია ბოსნიაში“ ასევე „ კონგრესის პროცედურების და წესების მიმოხილვა“. შეხვედრის ფორმატში მოხსენებით გამოვიდა ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ტორბონ იაგლანი.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის პირველი მოადგილე *გიორგი ტყემალაძე*